განკარგულება:**g-81.81220202**
თარიღი:**20/01/2022**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება #6
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი„ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, ,,საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის N 628 დადგენილებისა და „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 27 მარტის N 200 დადგენილების საფუძველზე,
ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

მუხლი 1.

მოწონებულ იქნას საქართველოს რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით ,,2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის პროექტების'' ფარგლებში განსახორციელებელი პროექტი „ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სოფელ საირმეში ბუნებრივ სვეტებიან ძეგლთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის შესახებ.“
მუხლი 2.
დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში გაითვალისწინოს პირველი მუხლით განსაზღვრული პროექტის თანადაფინანსებისათვის საჭირო სახსრები.
მუხლი 3.
განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცაგერის რაიონულ სასამართლოში (რუსთაველის ქ. N 69).
მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №65, ტელ.: +995 599560756
ელ. ფოსტა: TSAGERISAKREBULO@GMAIL.COM